

სასურსათო ბალანსები

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტი
1.3. საკონტაქტო პირი	გიორგი სანაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	gsanadze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (500)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2026 წ. 16 ივნისი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2026 წ. 16 ივნისი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2026 წ. 16 ივნისი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა

3.1. მონაცემების აღწერა

სასურსათო ბალანსი წარმოადგენს ქვეყნის დონეზე აგრეგირებულ სტატისტიკურ ანგარიშს მოცემული სასურსათო პროდუქტის მიწოდების და გამოყენების შესახებ მოცემული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში სასურსათო ბალანსები იწარმოება შემდეგი პირველადი სასურსათო პროდუქტებისათვის: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული (აგრეგირებული), ყურძენი, ხორცი (ყველა სახის, აგრეგირებული), მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრისა და თხის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი. გადამუშავებული პროდუქტების შესაბამის პირველად პროდუქტში გადაყვანა ხორციელდება შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით (მაგალითად, ხორბლის ფქვილი და პური – ხორბალში, ღვინო – ყურძენში, რძის პროდუქტები – რძეში და ა.შ.). სასურსათო ბალანსები დაფუძნებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეთოდოლოგიაზე, რომელიც აღწერილია FAO-ს პუბლიკაციაში Guidelines for the compilation of Food Balance Sheets, FAO 2017.

სასურსათო ბალანსი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ადგილობრივი წარმოება;
- იმპორტი;
- სათესლე;
- პირუტყვის საკვებად;
- სამრეწველო მოხმარება;
- სასურსათო მოხმარება;
- დანაკარგები;
- ექსპორტი;
- მარაგებს შორის სხვაობა.

გარდა ამისა, მოცემული პროდუქტის სასურსათო ბალანსი მოიცავს ერთ სულზე მოხმარების შემდეგ მაჩვენებლებს: პროდუქტის რაოდენობა (კილოგრამი წელიწადში, გრამი დღეში), პროდუქტში შემავალი კილოკალორიების რაოდენობა დღეში, პროდუქტში შემავალი ცილების რაოდენობა (გრამი დღეში), პროდუქტში შემავალი ცხიმების რაოდენობა (გრამი დღეში). სასურსათო ბალანსი აგრეთვე მოიცავს მოცემული პროდუქტით ქვეყნის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტს.

3.2. კლასიფიკაციის სისტემა

კულტურების კლასიფიკატორი ვერსია 1.1 (ICC) (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) – Classification of Crops // World Programme for the Census of Agriculture 2020. Volume 1: Programme, Concepts and

Definitions / Food and Agriculture Organization of the United Nations. – Rome, 2017, p. 163-169.

<http://www.fao.org/3/a-i4913e.pdf>

მეცხოველეობის კლასიფიკატორი (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია) – Classification of livestock // World Programme for the Census of Agriculture 2020. Volume 1: Programme, Concepts and Definitions / Food and Agriculture Organization of the United Nations. – Rome, 2017, p. 178.

<http://www.fao.org/3/a-i4913e.pdf>

3.3. სექტორის მოცვა

ყველა ეკონომიკური საქმიანობა და ინსტიტუციური სექტორი, სადაც ხდება სურსათის მოხმარება.

3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები

სასურსათო ბალანსების სტატისტიკის განსაზღვრებები, ცნებები და მეთოდოლოგია ჰარმონიზებულია საერთაშორისო დონეზე. მეთოდოლოგია აღწერილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პუბლიკაციაში Guidelines for the compilation of Food Balance Sheets, FAO 2017.

სასურსათო ბალანსები იწარმოება შემდეგი პირველადი პროდუქტებისათვის: ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული (აგრეგირებული), ყურძენი, ხორცი (ყველა სახის, აგრეგირებული) მსხვილფეხა პირუტყვის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრისა და თხის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი. ქვემოთ მოყვანილ განსაზღვრებებში სასურსათო პროდუქტში იგულისხმება როგორ თვით პირველადი პროდუქტი, ისე ამ პროდუქტისგან ნაწარმოები ნებისმიერი გადამამუშავებული პროდუქტი, შესაბამისი კოეფიციენტის საშუალებით პირველად პროდუქტში გადაყვანილი.

ადგილობრივი წარმოება – მოცემული პირველადი პროდუქტის წარმოება ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს როგორც შინამეურნეობებში, ისე იურიდიულ პირებში წარმოებას. მემცენარეობის პროდუქტების წარმოება არ მოიცავს დანაკარგებს მოსავლის აღების დროს. წარმოება მოიცავს სასოფლო მეურნეობაში მოსავლის აღების (პირუტყვის დაკვლის) შემდგომ დანაკარგებს, რომელიც წარმოიქმნება მეურნეობაში განხორციელებული სხვადასხვა ოპერაციის დროს, როგორც არის ლეწვა, გაწმენდა/განიავება ან შენახვა. ხორცის წარმოება მოიცავს როგორც ადგილობრივ სასოფლო მეურნეობებში წარმოებულ, ისე იმპორტირებული ცოცხალი პირუტყვისა და ფრინველისაგან მიღებულ ხორცს, და გამოხატულია დაკლულ წონაში.

იმპორტი – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსული სასურსათო პროდუქტის რაოდენობა.

ექსპორტი – საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიიდან გასული სასურსათო პროდუქტის რაოდენობა. იგულისხმება როგორც ადგილობრივი პროდუქტის ექსპორტი, ისე იმპორტირებული პროდუქტის რეექსპორტი. ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ პროდუქტის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

სათესლედ – მემცენარეობის პროდუქტის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იქნა დასათესად.

საინკუბაციოდ – კვერცხის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იქნა ფრინველის რეპროდუქციისთვის.

პირუტყვის საკვებად – სასურსათო პროდუქტის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იქნა პირუტყვის საკვებად, ან პირუტყვის კომბინირებული საკვების დასამზადებლად.

სამრეწველო მოხმარება – სასურსათო პროდუქტის რაოდენობა, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იქნა არასასურსათო მიზნებისთვის.

სასურსათო მოხმარება – სასურსათო პროდუქტის რაოდენობა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ადამიანის მოხმარებისთვის მოცემულ საანგარიშო პერიოდში. ამ რაოდენობაში შედის ნებისმიერი დანაკარგი საცალო ვაჭრობის დონეზე და ნარჩენები საბოლოო მოხმარების დონეზე. ამდენად ეს სიდიდე განსხვავდება იმ რაოდენობისაგან, რომელიც ფაქტობრივად იქნა მოხმარებული ადამიანების მიერ.

მარაგების ცვლილება – საანგარიშო პერიოდის ბოლოში და საანგარიშო პერიოდის დასაწყისში არსებულ სასურსათო პროდუქტის მარაგებს შორის სხვაობა.

დანაკარგები – სასურსათო პროდუქტის რაოდენობა, რომელიც მწარმოებლის ნებისაგან დამოუკიდებლად ტოვებს მიწოდების ჯაჭვს ისე, რომ არ არის სხვა გამოყენების ნაწილი. დანაკარგებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროდუქტის მიწოდების ჯაჭვის ნებისმიერ ეტაპზე მოსავლის აღების (პირუტყვის დაკვლის) შემდეგ საცალო ვაჭრობის/მოხმარების ეტაპამდე (მაგრამ ამ ეტაპის გამოკლებით). ამ რაოდენობაში არ შედის ნებისმიერი დანაკარგი საცალო ვაჭრობის დონეზე და ნარჩენები საბოლოო მოხმარების დონეზე.

თვითურუნველყოფის კოეფიციენტი – ადგილობრივი წარმოება შეფარდებული ადგილობრივი წარმოებისა და წმინდა ექსპორტის (ექსპორტს მინუს იმპორტი) სხვაობასთან. მიღებული რიცხვი გამრავლებულია 100-ზე.

$\text{ოვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{წარმოება}}{\text{წარმოება} + \text{იმპორტი} - \text{ექსპორტი}} \times 100$
3.5. სტატისტიკური ერთეული
სტატისტიკური ერთეულები, რომლებზეც დაფუძნებულია სასურსათო ბალანსები მონაცემთა წყაროების მიხედვით განსხვავებულია და მოიცავს სასოფლო მეურნეობებს, შინამეურნეობებს საგარეო ვაჭრობის დეკლარაციებს და ა.შ.
3.6. სტატისტიკური პოპულაცია
ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია.
3.7. საანგარიშო არეალი
საქართველოს მთელი ტერიტორია გარდა ოკუპირებული რეგიონებისა.
3.8. დროის მოცვა
2014 წლიდან.
3.9. საბაზო პერიოდი
-

4. ზომის ერთეული
ფიზიკური ერთეულები (ათასი ტონა, კილოგრამი დღეში, გრამი დღეში), ენერჯის ერთეული (კილოკალორია დღეში), პროცენტი.

5. საანგარიშო პერიოდი
კალენდარული წელი.

6. ინსტიტუციური მანდატი
6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები
საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/78020/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/78640/საქსტატის-დებულება-04.05.2026.pdf
6.2. მონაცემთა გაზიარება
-

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
<p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სტატისტიკური კონფიდენციალურობა და მონაცემების ექსკლუზიურად სტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება – ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოს მიერ შეგროვებული ან მიღებული ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ პერსონალური მონაცემები ან/და ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალური უნდა იყოს და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული. • კანონის 34-ე მუხლის (მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ეს მონაცემები სტატისტიკური ერთეულის პირდაპირი იდენტიფიცირების ან არაპირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ამასთანავე, აგრეგირებული მონაცემები კონფიდენციალურად მიიჩნევა, თუ: ა) ეს მონაცემები არაუმეტეს 3 სტატისტიკურ ერთეულს ეხება და აღნიშნული მონაცემებით შესაძლებელია ერთ-ერთის არაპირდაპირი იდენტიფიცირება ან/და მულაენდება ამ ერთეულის/ერთეულების შესახებ კონფიდენციალური მონაცემები. 3-ზე მეტი სტატისტიკური ერთეულის შესახებ აგრეგირებული მონაცემები შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ მონაცემებად საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ საჭიროა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა; ბ) ეს მონაცემები „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო საიდუმლოებად არის მიჩნეული. 2. კონფიდენციალური მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კანონის შესაბამისად ექსკლუზიურად სტატისტიკის წარმოებისთვის. 3. ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ

<p>სტატისტიკური მონაცემები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კონფიდენციალურ ინფორმაციად, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ინფორმაციისა. 4. საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებული ინდივიდუალური მონაცემები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციად არის მიჩნეული, არ ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად. 5. კონფიდენციალური ინდივიდუალური მონაცემების გამოქვეყნება შესაძლებელია, თუ არსებობს სტატისტიკური ერთეულის წერილობითი თანხმობა ამ მონაცემების გამოქვეყნებაზე. 6. კონფიდენციალური მონაცემების გაცემა, გავრცელება ანარასტატისტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის 38-ე მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ორგანოების თანამშრომლებს ეკრძალებათ სტატისტიკური მიზნებისთვის შეგროვებული და ადამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების პირადი, აკადემიური, სამეცნიერო ან სხვა საქმიანობისთვის გამოყენება და გავრცელება. <p>https://www.geostat.ge/media/78020/საქართველოს-კანონი-ოფიციალური-სტატისტიკის-შესახებ.pdf</p> <p>2. „საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკა“ https://www.geostat.ge/media/60538/konfidencialurobis-politika_2024.pdf</p> <p>3. „კონფიდენციალური მონაცემების სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი“ https://www.geostat.ge/media/61497/დადგენილება--3.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
<p>7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემებთან მოპყრობა</p> <ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.

<p>8. გამოქვეყნების პოლიტიკა</p>
<p>8.1. გამოქვეყნების კალენდარი</p> <p>მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის საფუძველზე შემუშავებული კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.</p>
<p>8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა</p> <p>https://www.geostat.ge/ka/calendar</p>
<p>8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა</p> <p>მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.</p>

<p>9. გავრცელების სიხშირე</p> <p>წლიური.</p>

<p>10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა</p>
<p>10.1. პრეს-რელიზები</p> <p>-</p>
<p>10.2. პუბლიკაციები</p> <p>სასურსათო ბალანსი ხელმისაწვდომია პუბლიკაციაში „საქართველოს სოფლის მეურნეობა“: https://www.geostat.ge/ka/single-categories/102/sakartvelos-soflis-meurneoba</p>
<p>10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა</p> <p>სასურსათო ბალანსების ცხრილები ხელმისაწვდომია MS Excel-ის ფორმატით: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usaftrkhoeba</p>
<p>10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა</p> <p>-</p>
<p>10.5. სხვა</p> <p>„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქსტატი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფს სტატისტიკური პუბლიკაციისა და მონაცემების ყველა მომხმარებლისთვის უსასყიდლოდ, ელექტრონული ფორმით მიწოდებას.</p>

10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
პუბლიკაცია Guidelines for the compilation of Food Balance Sheets, FAO 2017: https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/f80bc794-2b23-40d0-8a0d-886229f3fcc7/content
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-
11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 თავით „ოფიციალური სტატისტიკის ხარისხი“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (ESS QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს, თვითშეფასების გამოკვლევას და აფასებს სტატისტიკური პროდუქტებისა და პროცესების ხარისხთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. საქსტატის ხარისხის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/44379/QP_Geostat_GE.pdf
12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
მონაცემთა ძირითადი მომხმარებლები არიან: სამთავრობო უწყებების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროსტატი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, გაეროს სტატისტიკის განყოფილება, გაეროს აზიისა და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია (სტატისტიკის დირექტორატი)), სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, ექსპერტები, მედია საშუალებები, სტუდენტები და სხვ. მათ აღნიშნული მონაცემები ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, მარკეტინგული სტრატეგიის დასაგეგმად ან ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად და შესაფასებლად.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2023 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან.
13. სიზუსტე და სანდოობა
13.1. ზოგადი სიზუსტე
მონაცემების სიზუსტე უზრუნველყოფილია გამოკვლევის და გაანგარიშების მეთოდების შესაბამისობით საერთაშორისო მეთოდოლოგიასთან.
13.2. შერჩევითი ცდომილება
-
13.3. არაშერჩევითი ცდომილება
-
14. დროულობა და პუნქტუალობა
14.1. დროულობა

მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის ივნისის შუა რიცხვებში.
14.2. პუნქტუალურობა
მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღების შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა
15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული
გამოყენებულია საერთაშორისო მეთოდოლოგია და მიდგომები, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა საერთაშორისო შესადარისობას.
15.2. შესადარისობა – დროში
შესადარისია.
15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის
თანამიმდევრულია.
15.4. თანამიმდევრულობა – შიდა
თანამიმდევრულია.
16. დანახარჯები და დატვირთვა
მონაცემების მოზიდვა და დამუშავება ხდება შიდა რესურსებზე დაყრდნობით, შესაბამისად მასზე დამატებითი ხარჯი არ გაიწევა.
17. მონაცემთა გადასინჯვა
17.1. მონაცემთა გადასინჯვა – პოლიტიკა
სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებსაიტზე: https://www.geostat.ge/media/60949/Revision-policy-and-error-correction_2024.pdf
17.2. მონაცემთა გადასინჯვა – პრაქტიკა
სტატისტიკური მონაცემების გადასინჯვა და კორექტირება წარმოებს რეგულარულად შესაბამისი წყაროებიდან მიღებული დაზუსტებების საფუძველზე. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ ხორციელდება მასშტაბური გადასინჯვა დაზუსტებული მონაცემების მიღების მიზნით. გეგმიური გადასინჯვის შესაბამისად წინასწარი მონაცემები ზუსტდება და მიიღება საბოლოო მონაცემები. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) პრაქტიკაში არ განხორციელებულა.
18. სტატისტიკური დამუშავება
18.1. პირველადი მონაცემები
სასურსათო ბალანსების მონაცემთა ძირითადი წყაროებია სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა, შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა, სტატისტიკო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა და სხვა ადმინისტრაციული წყაროები.
18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე
წლიური.
18.3. მონაცემთა შეგროვება
მონაცემთა შეგროვება ხდება შიდა რესურსებზე დაყრდნობით.
18.4. მონაცემთა კონტროლი
სასურსათო ბალანსების შესაქმნელად მოწოდებული მონაცემები დამატებით მოწმდება სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.
18.5. მონაცემთა გაანგარიშება
სასურსათო ბალანსების კომპონენტების გაანგარიშება ხდება შესაბამისი სტატისტიკის მწარმოებელი საქსტატის სტრუქტურული ერთეულების მიერ. მონაცემთა დაბალანსება ხდება ფორმულით: ადგილობრივი წარმოება + იმპორტი = სათესლედ/საინკუბაციოდ + პირუტყვის საკვებად + სამრეწველო მოხმარება + სასურსათო მოხმარება + დანაკარგები + ექსპორტი + მარაგებს შორის სხვაობა.
18.6. მოსწორება
არ გამოიყენება.
19. კომენტარი
-